№ 39 10 აპრილი, კვირა 1866—1877 10 აპრილი, კვირა № 39

რედაქცია

ზანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში, ამატუნის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба", при типографіи Меликова.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

ხელის-მოწერა ამ 1877 წლის

## „დროებაზე"

მიიღება გაზეთის რედქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში (ზანოვის ქუჩაზე, ნაპ. ამატუნის სახლებში).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба"*

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| ფასი | მთელი წლის გაზეთისა | 8 | „ |
| | ექვსი თვისა | 4 | 50 |
| | სამის თვისა | 2 | 50 |
| | ერთის თვისა | 1 | „ |

ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.

---

# საქართველო

## დღიური

*** დიდი მთავარი კავკასიის ნამესტნიკი 3 აპრილს თფილისიდამ ალექსანდროპოლს წაბრძანდა. იმის თანაშემწე თ. მირსკი პარასკევს 8 აპრილს, დილით, წავიდა ქუთაისისაკენ.

გუშინ, 9 აპრილს, დილით ადრიანად, დიდი მთავარი დაბრუნდა ალექსანდროპოლიდამ.

*** ერთი პეტერბურღის ოფიციალური გაზეთი გვაცნობებს, რომ რუსეთის უმაღლეს მმართებლობამ მოსთხოვა ოსმალეთსაო, რომ, თუ 13 აპრილამდინ ელჩი არ გამოგიგზავნიათ პეტერბურღში ჯარების დათხოვნის თაობაზე მოსალაპარაკებლად, ამ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით ომი გამოგიცხადოთო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მომავალ კვირაში ქართულის სცენის მოყვარეთაგან, ხელმეორეთ წარმოდგენილი იქნება სომხურიდგან ნათარგმნი უ. გ. სუნდუკიანცის სამ-მოქმედებიანი კომედია „ხ ა თ ა ბ ა ლ ა".

*** გურიის სამზღვრიდამ მოსულებმა გვიამბეს, რომ ამ ჟამად იქ დაყენებული ჯარის უფროსები გაკვირვებული არიან ახლად-აკრეფილი იმერლებისა და გურულების მილიციონრების სიმარჯვითა და იმათგან ასე მსწრაფლად ყოველს სამხედრო ვარჯიშობის შესწავლითაო. რასაც სხვა სალდათები რამდენსამე წელიწადს უნდებიან, იმათ რამდენსამე კვირას შეითვისესო და გაიგესო. ოზურგეთში ამ ჟამად დიდ სიძვირეს ამბობენ; მაგრამ ჯარი სურსათის მხრით არავითარ დაბრკოლებასა და შევიწროებას არ გრძნობსო.

*** უადგილო არ იქნება მოვიხსენიოთ ის ორი ჩინებული სტატია „ქ უ თ ა ი ს ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ა შ ი გ ლ ე ხ თ ა გ ა ნ მ ა მ უ ლ ე ბ ი ს შ ე ს ყ ი დ ვ ი ს თ ა ო ბ ა ზ ე", რომელიც „თფილისის მოამბის" მე-69 და 71 ნომრებში იყო დაბეჭდილი.

ხსენებული სტატიის ავტორი ამბობს, რომ, თუმცა, კანონით, განთავისუფლებულ გლეხებს უფლება ჰქონდათ, რომ მთავრობისაგან ნასესხი ფულით გამოესყიდათ იმერეთში თავიანთ ნაბატონრებისაგან მამულებიო; მაგრამ, რადგან იმერეთში მამულები წესდებით განსაზღვრულს ფასზე მეტად ფასობსო, ამიტომ გლეხებმა ისევ თავის საშუალობით არჩიეს მამულების შესყიდვაო *). ამ ნაირად, მომრიგებელ შუამავლებმა გასულ 1876 წლის სექტემბრის პირველამდინ 7,790 პირობა შეადგინეს ნაბატონრებისაგან გლეხებზე მამულების გაყიდვაზედაო; მაგრამ ყველა ეს პირობები, საუბედუროთ, ქუთაისის სახალხო პრისუტსტვიაში იყო დაწყობილიო, პრისუტსტვია სრულებით არ ჰფიქრობდა იმათ შემოწმებას და შემდეგ ნოტარიუსთან წარდგენას საბოლოოთ დასამტკიცებლად, როგორც კანონი მოითხოვსო; შვიდი-რვა წლის განმავალობაში ეს პირობები ხელუხლებელი ეყარნენ ხსენებულს პრისუტსტვიაში, თუმცა კანონს გარდა ზოგიერთი პოსრედნიკები დიდი ხანია აფრთხილებდნენ მას, რომ ნაბატონრებისა და გლეხების მიწა-წყლის საქმე ერთობ დაიხლართება, თუ რომ ეგ პირობები დროზე არ შესრულდაო. (ამ გვარი ქაღალდი არის პრისუტსტვიაში I განყოფილების მომრიგებელ შუამავლისა უფ. ლ. ავალიანისა).

*) არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ ავტორს აქ, რომ ამ გარემოების მიზეზი, სხვა-

***

თა შორის და იქნება უმთავრესადაც, ისიც არის, რომ ჩვენებურ გლეხებს საზოგადოთ არავინ არ უხსნიდა დი არ უხსნის — თუ რა გზით, რა პირობებით და როგორ შეუძლიათ იმათ, რომ გამოსასყიდი ოპერაციებისათვის ხაზინიდამ სესხი აიღონ. ჩვენი საგლეხო პრისუტსტვიები და მომრიგებელი შუამავლები (მიროვოი პოსრედნიკები) ამისთვის იმდენს ზრუნავდნენ, რამდენსაც მე და შენ, მკითხველო, შარშანდელ თოვლზე ვზრუნავთ..

რედ.

---

# ფელეტონი

## ქართველები ოსმალეთში

(წერილი ბათუმიდამ)

ოსმალეთის ქართველები ჩვენ, რუსეთის ქართველებს სრულიად დავიწყებული გვყავს; მხოლოდ მეცნიერთა იციან ამ ჟამად, რომ ეს ქართველები ერთ დროს ჩვენს ერთსისხლსა და ერთ-ხორც თანამოძმეებსა, თანამემამულეებს შეადგენდნენ.

ამათ, აქაურ ოსმალეთის ქართველებს, დაჩაგრულებს, გამაჰმადიანებულებს, ჩვენგან მოძულებულებსა და დავიწყებულებს უფრო ვახსოვართ ჩვენ, ვიდრემ ჩვენ ისინი გვახსოვს.

ამათ ახსოვთ, რომ არიან ჩვენი მოძმენი, რომ ჩვენ დიდი ხნის განმავალობაში ერთს ბედს ქვეშ ვიყავით, ერთად ვიცავდით საზოგადო სამშობლოსა, ერთად ვიცავდით გამძვინებულ მტრებისაგან საქართველოს დამოუკიდებლობას და სარწმუნოებას. ახსოვთ ვახტანგ-გორგასლანი, უკვდავი თამარ დედოფალი და სხვ. და სხვ.

რუსეთის ქართველები ვერც ამას დაივიკვეხნით; როგორც ზევით მოგახსენეთ, ჩვენ სრულებით დავიწყებული გვაქვს, რომ ესენი ერთ დროს ჩვენი ბედისა და უბედობის მონახევრენი და ჩვენთან ერთის ულლის მწევნი იყვნენ.

ამის გამო, მგონია, უფ. რედაქტორო, თქვენ და თქვენმა მკითხველებმა უსარგებლოდ და უინტერესოდ არ ჩათვალოთ ის ორიოდე ცნობა აქაურ ქართველებზედ, რომელსაც აქ მოვიყვან.

×

სარწმუნოების გამოცვლამ, აქაურ ქართველების გამაჰმადიანებამ დაგვაშორა ჩვენ ყველაზე უფრო ერთმანეთს. მოგეხსენებათ, ჩვენში საზოგადოთ სარწმუნოებისა და ხალხოსნობის, ნაციონალობის მნიშვნელობა ერთობ არეულია, არ გვესმის: შთამომავლობითა და გვარ-ტომობით ქართველს, რომელსაც კათოლიკე ან გრიგორიანის სარწმუნოება მიუღია, ჩვენ ქართველებად აღარ ვსთვლით: იმათ ფრანგსა და სომეხს ვეძახით. ესრე მოუვიდა აქაურ ქართველებს: რა-კი სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო ისინი იძულებულნი იყვნენ, რომ მართლმადიდებლობის სარწმუნოება მაჰმადიანობაზე შეეცვალათ, ამათ, ჩვენის ჰაზრით, იმ წამიდამვე დაჰკარგეს ჩვენი ძმობა, ჩვენი თანამემამულეობა და გვარტომობა. და ჩვენ გავწყვიტეთ ამათთან ყოველივე კავშირი და დავივიწყეთ ვითარცა სხეულიდამ მოკვეთილი რომელიმე დასნეულებული ასო...

×

მაგრამ არც დამკვირებელი თვალი და არც გამჭრიახე გონება არის საჭირო იმისათვის, რომ ამათი და ჩვენი ერთ-გვარტომობა დაამტკიცოს კაცმა.

მოვიყვან მხოლოდ რამდენსამე მაგალითს, რომლიდამაც ამ ჩემს სიტყვის სიმართლეში ადვილად დარწმუნდებით:

ზარეგანი შეხედულობა, თითქმის ჩაცმა-დახურვა და ცხოვრება ამათ წმინდა ქართველური, გურული აქვთ.

ბევრი ჩვეულება, ცრუ-მორწმუნოება, სახალხო ზღაპრები, ლეგენდები, გამოცანაები ჩვენსას მოგვაგონებენ.

ახლაც იპოებიან რამდონსამე ალაგას ძველი ნანგრევნი ეკკლესიებისა, სადაც ხალხი, გამაჰმადიანებული ხალხი თავის ვალად ჰხდის წელიწადში ერთხელ მაინც წავიდეს და შესაწირავი მიიტანოს სწორეთ ისე, როგორც ჩვენში იციან.

×

ისინი ლაპარაკობენ მომეტებულად ქართულს ენაზედ; ზოგნიც იპოებიან ქართულად წერის მცოდნენიც და ბევრს ისეთებს შეხვდებით, რომელთაც ქართულის ენის მეტი სხვა ენა არ იციან, რადგან ისინი თავიდამვე მოშორებულნი ყოფილან ოსმალოების მეზობლობას.

თითქმის მთელი ოსმალოს საქართველო მთა-კლდიანი ადგილია. მეურნეობა აქ ისეთივეა, როგორც ჩვენში: ადამის ხნის სამეურნეო იარაღებით მუშაობენ და ისევე სიმინდი, ღომი, ლობიო და სხვა ნაწარმოები მოჰყავთ, რაც ჩვენა.

ხელოვნება ძალიან სუსტად არის აქ გავრცელებული.

იშვიათად მოიპოება თითქმის შეძლებულებშიაც აქ იმისთანა პირნი, რომელნიც ცდილობდნენ რომელსამე ხელოსნობისა ანუ სწავლის მიცემით გაუადვილონ თავიანთ შვილებს ცხოვრება.

×

მაგრამ აქაურ ქართველებს აქვთ ზოგი ისეთი თვისება, რომლითაც ჩვენ არ გვგვანან:

ესენი არიან ერთმანეთის მოყვარულნი და ჭირში და ლხინში ერთმანეთს დამხმარნი და ზურგის მიმცემნი. საუბედუროთ, ამ ხასიათით დაკვეხნა ამ დროინდელ რუსეთის ქართველებს არ შეგვიძლიათ.

სტუმართ სიყვარული და პატივისცემა აქ ჩვენსაზე უფრო თუ არა, ნაკლებ არ არის მიღებული. რაც ხელიდამ გამოუვათ, სტუმრისთვის არაფერს არ დაზოგვენ, ვინც უნდა

ამ დაგვიანება ისე საგრძნობელი შექნა, რომ ბოლოს, მაშინ სექტემბერში, დიდმა მთავარმა ფიცხელი ბრძანება გამოსცა, რომ საგლეხო პრისუტსტვიებმა და მომრიგებელ შუამავლებმა დაუჩქარონ გლეხებისაგან მამულების შესყიდვის საქმე. მას შემდეგ, უფ. ავტორის სიტყვით, ოთხის თვის განმავლობაში ქუთაისის საგლეხო პრისუტსტვიამ 1735 პირობა შეასრულა სრულიად და ჩააბარა გლეხებს; მაგრამ შემდეგ ახლა ისევ ძველებურად მიდის საქმე...

ხსენებულს სტატიაში ზოგი სხვა მხარეებიც არის აწერილი ამ საქმისა, რომლისგანაც გლეხებსაც და მემამულეებსაც ბევრი ზიანი მოსცემიათ ამ დაგვიანების წყალობით.

აი ამგვარ გარემოებათა წყალობით არის, სხვათა შორის, რომ იმერეთში და სამეგრელოში ასე ხშირი უკმაყოფილება ცხადდება გლეხებს და მემამულეებს შუა. როგორ ჩასაფიქრებელი არ არის ეს გარემოება? იმერეთის ან სამეგრელოს გლეხმა, საწყალმა, ღარიბმა, ფული იშოვნოს ვინ იცის რამდენის წვალებით და ვაივაგლახით, რა სარგებლით, მისცეს მემამულეს,—და ბოლოს, ჩინოვნიკების უთავბოლოებისა და სიზარმაცის წყალობით, ეს ფულიც დაჰკარგოს და ვერც მამული შეიძინოს!

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ოზურგეთის უეზდის უფროსი უფ. ვახრამეევი თანამდებობიდგან გასულა და მის მოადგილეთ სხვა დაუნიშნავთ.

*** მმართებლობის განკარგულებით, წლევანდელი 1877 წლის განმავლობაში ქუთაისის გუბერნიის შემდეგ ადგილებში, დანიშნულია მიწების გამიჯვნა.

ქუთაისის უეზდში ოკრიბაში დაიწყება გამიჯვნა ერთსა და იმავე დროს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრით; დასავლეთით გაიმიჯნება მამულები სოფ. კურსებიდამ გელათისა და მონამეთის მახლობლად; აღმოსავლეთის მხრით გამიჯვნა დაიწყება ძიროვანის ტყიდამ და შემდეგ სოფ. ახალსოფელში, საწირეს და სხვ.; ამისს გარდა ქუთაისის უეზდშივე ბალდადის ტყის დასავლეთით შეუდგებიან გამიჯვნას.

ოზურგეთის უეზდში განაგრძობენ ზურიანთის ტყის და მიწების გამიჯვნას და შემდეგ, თუ დრო და საშუალება აღმოჩნდა, აქედამ ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე მამულებზე გადავლენ.

*** გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია 1875 და 1876 წლების აქციზის შემოსავალი კავკასიის ხაზინისა;
ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ 1875 წელს სასმელების აქციზიდამ ხაზინაში შეტანილა—685,735 მან. და 98 კაპ., ნავთის—180,619 მან. და 19 კაპ. და თამბაქოს—421,683 მან. და 72 კაპ.,—სულ 1,388,038 მან. და 89 კაპ.

1876 წლის განმავლობაში შემოსული: სასმელების აქციზი—684,794 მან. და 58 კაპ., ნავთის—281,387 მან. და 72 კაპ. და თამბას—320,897 მან. და 69 კაპ. მარილის — 72,119 მან. და 29 კაპ.,—სულ 1,459,169 მან. და 29 კაპ.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

**სიღნაღი**, 2 მარტს. გამოგვიზაფხულდა და შეიმოსა ბუნება ათას ფრათ! ველი ამწვანდა ხავერდის ფრათ, ტყე შეიფოთლა და აპეპელავდა. მზის სხივმა დაათბო ქვეყანა.

ჩვენმა სიღნაღელებმაც მიბაძეს ბუნებას: როგორც ფუტკარი გექიდამ, გამოყვეს თავები კარებიდამ და მოფინეს არე-მარე. თითქო ბუნებას ეჯიბრებიანო, ყველა ერთად და თითოეული ცალცალკე ცდილობს ერთმანეთის გამოჯავრებით სხეული დაიმშვენონ რაც შეიძლება სხვადასხვა ფერადებით. ქუჩებში ველარ ჰხედავთ იმ ხალვათობას და აგონიას, რომელიც იყო დღემდი ზამთრის წყალობით. ხალხი მოძრაობს და შეახარის ბუნებას.

არ გეგონოსთ მდედრობითი სქესნიც იყვნენ თანაზიარნი ამ სიხარულში. არა! ჯერ არ მოსულა „მოდნა“, რომ ქალები, როგორც სხვა ქალაქებში, ქუჩაში უსაქმოთ, დროს გასატარებლათ, გამოვიდნენ აქა.

ან კი რა სამანდილოსნო ქუჩებია! გაივლით და წინ დაგხვდება ნივრისა და ხახვის ფუჩეჩის გროვა და ნახარშის სუნი; გამოივლით და ნარეცხი წყლის მორევი უნდა გატოპოთ; მიიხედავთ—ძონძებისა, ჯღანებისა და ნაგავის გოხი; მოიხედავთ—კიდე უარესობა, ისეთობა, რომ ცხვირ-პირზე ხელი უნდა მოიჭიროთ და თვალი მოარიდოთ...

მაგრამ, სულო ცოდვილო, შეუდგნენ კია სიფაქიზეს: გამოზაფხულებისა თანავე ერთი პოლიციის ჩინოვნიკი, რომელიც, სხვათა შორის, ქალაქის სისუფთავესაც უნდა თვალყური ადევნოს, გამოსცვალეს. მიზეზი?—ესაო და შენ ქუჩებს კარგათ არ უყურეფო, როცა დადიხარ სულ ცალ მხარეზე გიჭირავს თვალიო, მძიმე კაცი ხარო, მარდობა და ყოჩაღობა, აუცილებელი საჭიროება, გაკლიაო და ამის გარდა კიდეო კალმის მოსმა რიგიანათ არ იციო: ყოველთვის ქაღალდში ერჭობა ხოლმე შენი კალამიო, ბლანკები ფუჭდება და კანონიერათ ვერას მოგვახსენებ ხოლმეო და სხ!. ხო მოგეხსენებათ, აბა მიზეზი ათასია: ჯერ წადიო, აიმ პროპისით წერა ისწავლეო, გიმნასტიკაზე სიმარდეო და მერე ვნახოთ, თუ ადგილი აღმოჩნდა, იქნება მოგცეთო.. ეს გამოსცვალეს და ნამდვილათ ამისი წინაღმდეგი კაცი დააყენეს: ხედავთ ამ ახალს ქუჩაში, მიდის, თითქო დამუქრებული, გაქანებული ოორლით! და სულ აქათ-იქით იცქირება, თითქო რაღაც დაკარგვია და დაეძებსო. წერა და პირველი სტამბაც ვერ აჯობებსო; ერთ ნიმუტში ერთ ზღვა ქაღალდს გადახატავს!. [illegible], წერა ეცოდინება, რაღა თქმა უნდა! იმედია, ეს ახალი მაინც მიაქცევს თვალ-ყურს ქალაქის სიბინძურეს და სხვა უწესოებას, პირველად სიყოჩაღის დასამტკიცებლად და მერეთ ყურადღების დასამსახურებლათ....

მაგრამ ჯერ ქალაქისთვის ვის მოუცლია? ყველა, ძველებიც და ახალიც ერთ საქმეზედ არიან დაფაცაცებულები: ცდილობენ როგორმე გამააგდონ სოროდამ ის „დროების“ კორრესპონდენტი, „ვინმე სიღნაღელი“, რომელმაც ზოგიერთებს კარგი მაგარი მათრახები და შოლტები გადაუსვა მხარ-ბეჭზედ. სწორეთ „ანთებული ფარნით დაეძებენ.“ ვურჩევ კარგა დაიმალოს, უფრო გაალრმაოს თავისი ხვრელი, ვინც არი, თორემ სადაც იქნება წააწყდებიან და უთუოდ ჩაქოლამენ... ეჭვი ბევრზედ აქვთ, ბევრი ალალი გვამი და კოკობი სული ტყვილ-უბრალოთ ჰყავთ სახეში. ეხლა ამბობენ და ნამდვილათ ამბობენ, რომ ერთი შეურაცხყოფილი პირი ემზადება პასუხის დაწერასაო. კარგა ხანია, რაც შეუდგა თურმე ამ საქმეს; „თუ დავწერეო, ისე დავწერო, რო, რო რო, როო!“ ღმერთმა ჰქნას, მართლა დასწეროს! იშვიათია ეგეთი პირები, ე. ი. სასამართლოს ჩინოვნიკები, პოლემიკაში გამოსულიყვნენ და თავი დაეფაროსთ...

საზოგადოთ „დროებას“ ბევრი ძალიან გაუცხარებია აქ და აცხარებს. ერთი მხრით კიდე მთელი ლესნიჩის კამანდა დაეძებს და ემუქრება იმ „ოზაანელ გლეხს გარსიაშვილს“, რომელმანც ერთ „დროების“ ნომერში გამოსთქვა ორიოდე სიტყვით ზოგიერთი უწესო მოქმედებანი ტყის მცველებისა. როგორც „სიღნაღელი ვინმე“, ისე ამათი შემაგინებელი ვინ იცის, ვინ არ ჰგონიათ! ხან ერთს სტაცებენ ხელს, ხან მეორეს, ხან ორივეს ხელს უშვებენ. ტყის უფროსი, ამბობს: „ერთი ნეტაი ან რუსული, ან ქართული წე-

---

იყოს ეს სტუმარი—მდიდარი გინდ ღარიბი, უბრალო გლეხი გინდ ბეგი.

მაგიერად, სტუმრებმაც მასპინძლის პატივისცემის დახსომება იცის: რაც უნდა შეურაცხყოფა მიაყენოს მასპინძელმა თავის ერთ-დროინდელ სტუმარს ეს არ ეცდება შურის გებას.„—იმ კაცის პურ-მარილი დღესაც არ მომინელებია! რა გაეწყობაო!“ ამბობს შეურაცხყოფილი სტუმარი და თავს ანებებს მასპინძელს.

მე მქონია აქაურ ქართველებთან საქმე და ვიცი, რომ სესხის გადახდა ამათ წმინდა საიდუმლოსავით მიაჩნიათ; მხოლოდ ერთი პატიოსანის სიტყვით მიცემული ვალი, დარწმუნებული იყავით, თავის დროზე გადახდილი იქნება. ეს გარემოება, ამათ პატიოსნებას გარდა, უეჭველია, იმ ცრუმორწმუნოებასაც უნდა მიეწეროს, რომელიც აქაურ მდაბიო ხალხში ჰსუფევს: ესენი მტკიცედ დარწმუნებული არიან, რომ ვინც სააქაოს თავის ვალს პატიოსნად არ გადიხდის, ის საიქიოს ვერ ეღირსება სასუფეველში მშვენიერ „ჰურიის“ შერთვას და მასთან ბედნიერად ცხოვრებას!

✕

ქალი აქაურ ქართველებში იმალება კაცისაგან, მოშორებულია კაცის საზოგადოებას, რადგან, მაჰმადიანთ სარწმუნოების ძალით, ქალს მონად დაბადებულად სთვლიან და მონადვე უნდა იცხოვროს და მოკვდესო.

✕

ესენი ემორჩილებიან „შერის“, რომლის კანონები იმათ მომრიგებელ-მოსამართლეთ აქვთ ჩარიცხული და რომლის გარეშე არა კანონის დამოკიდებულება არ ჰსურთ, როდესაც თავიანთ საცხოვრებელ ალაგზე იმყოფებიან. ვინც „შერის“ კანონებს გადაუდგება, ის მთავრობის მოწინააღმდეგს ითვლება; ამ გვარები მოჰკიდებენ თოფ-იარაღს ხელსა, მიდიან ტყეში და აყაჩაღობენ.

✕

მაჰმადის სარწმუნოებაში არის ერთი სწავლა, რომელიც ყველა ამ სარწმუნოების სწავლაზე უფრო მავნევარია მდაბიო ხალხის ხასიათისა და ზნეობისათვის; ეს სწავლა გახლავთ „ფატალიზმი“, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ რაც უნდა მოჰხდეს დედამიწაზე, ან რაც უნდა შეემთხვეს რომელსამე მაჰმადიანს ან რაც უნდა შეამთხვიოს იმან სხვას, ის დარწმუნებულია, რომ ეს უეჭველად ესე უნდა მომხდარიყოვო, ალბათ ღვთის განგება, უზენაესი ძალის ნება ესრე ყოფილაო. მაჰმადიანი კაცს ჰკლავს; იმით ინუგეშებს თავის სინიდისს, რომ ალბათ იმის ბედი ეს ყოფილა, თორემ ტყვია ასცილდებოდა და პირ-და-პირ შუბლში არ მოხვდებოდაო!

საუბედუროთ, ამ სწავლას ძალიან ღრმა ფესვები გაუდგამს აქაურ გამაჰმადიანებულ ქართველობაში.

✕

მაგრამ ამაზე უფრო გავრცელებულია აქ შურის ძიება ანუ „სისხლის ამოგება“.

ამ გვარი საქმეები ყველაზე უფრო ხშირად აქ ცოლის შერთვის გამო ხდება ხოლმე. ვაჟს ქალის შერთვა უნდა. ქალი მამა, ძმა, ბიძა ან სხვა ვინმე პატრონი არ დაეთანხმება ქალის მიცემაზე, ან სხვა ვაჟ-კაცი ამოუჩნდა ამავე ქალს. თუ პირველი სასიძო, რომელსაც „ბლაყვიას“ ეძახიან, ხელს აიღებს თავის სურვილზე, ხო კარგი. მაგრამ უფრო ხშირად თავმოყვარეობა ამის ნებას არ აძლევს და ის ქალს იტაცებს. ნათესავს ვალდებულად მიაჩნია თავის თავი, რომ ის კაცი მოჰკლას. ახლა მოკლულს მამა, ძმა, ან სხვა ვინმე ნათესავი აღმოუჩნდება, რომელიც თუ მაგიერს არ გადუხდის და არ „ამოიგებს სისხლს“ ჰკარგავს თავის კაცურ ღირსებას თავის ტოლ-ამხანაგის თვალში და ქალის ლეჩაქს იხურავს. მკვლელი ჩვეულებრივად გავარდება ტყეში და იქ ნადირივით დაფეთებული უნდა იყოს, რადგან ყოველ წამს თავის მტერების თავსდასხმასა და სიკვდილს მოელის.

არის კიდევ სხვა რამდენიმე ჩვეულება და ხასიათი აქაურს ქართველობაში, რომელიც ზოგი გვაერთებს და ზოგი კი გვაშორებს ჩვენ ამათგან.

მაგრამ ახლა ისეთი დროა ჩვენში, აქეთკენ, რომ ამაებზე ლაპარაკს თავი უნდა დავანებოთ. დიდი მოძრაობაა აქ, დიდი მზადება; ყოველ დღე სხვა და სხვა სამხედრო იარაღებითა და სურსათით დატვირთული ცეცხლის გემები მოდიან ხოლმე ბათუმში. ჯარები მოჰყავთ, ქალაქსა და ზღვის ნაპირებს ამაგრებენ..

მაგრამ ყველა ამაებზე მალე განსაკუთრებულ წერილს მიიღებთ ჩემგან, თუ ჩვენსა და თქვენს შუა, როგორც ისმის, გემებმა სიარული არ მოსპეს *)

პავლე მჭედლიშვილი

ბათუმი, 30 მარტს

*) ეს უკანასკნელი სიტყვები ჩვენი ბათუმელი კორრესპონდენტისა გამართლდა: გუშინწინ ჩვენს ფოსტაში ოსმალეთში გასაგზავნი „დროების“ ნომრები არ მიიღეს, რადგან პარახოდები აღარ დაიარებაო, და ამასთანავე გვითხრეს, რომ ნურც იქიდამ მოელით ზღვით კორრესპონდენციასაო.

რედ.

რა-კითხვა კი ვიცოდეთ და რა უნდა ... ომერთსაო! სომხურ გაზეთში გადავიდეთ და ვაი, თუ ვერავინ წაიკითხოს, თორემ მე ვიცი, რაც ეკადრება იმის დამწერსაო.“ ჯერ ამას იტყვიან თურმე და მერე თავს ინუგეშებენ იმითი, რომ „ეჰ! მაინც ქართულ გაზეთშია დაწერილი, ვინ წაიკითხავს, რუსულად რომ იყვეს, მაშინ სულ სხვააო. მოდით, გავჩუმდეთ, თორემ ვაი თუ უფრო გაგვამჟღავნონო!“ ამ ნაირათ, არის ერთი ძებნა კორრესპონდენტებისა, მაგრამ ჯერ არსადა სჩანან. მოსძებნიან კიდეც. ტყეში თუ იმალებიან, იქაც მეძებრებს ანადირებენ, ველათ თუ არიან და კიდე უკეთესი,—ასეთ-ასეთი მწევრები ჰყავთ, რომ ერთ ალიზედაც ვერ წაუვლენ!... ვნახოთ, „რა გამოვა რისაგან!“...

ერთი შენიშვნა: ხშირად.—ხშირად კი არა მუდამ,—ბრძანებები, უწყებები, გადაწყვეტილებები და სხვა და სხვა ქაღალდები, რომლებიც იგზავნებიან სოფლებში სუდისა და უპრავლენიის ვნით, მარტო რუსულ ენაზედ იწერებიან და ისიც იმნაირი გაკრული ხელით, რომ მერწმუნეთ, ერთი კვირის შემდეგ რომ თითონ დამწერს მიუტანოთ, ვერ წაიკითხავს. წარმოიდგინეთ სოფლის მწერლები, რომლების უმეტესობა ჩრიჩინით ჰკითხულობს ხოლმე და ესეთი ნაწერები-რა უნდა გაუგონ? ბევრი მინახავს მწერალი და გზაში ქუდ-მოხდილი ეღრიჯებოდა კაცს, შენი ჭირიმე, ერთი ეს რომელ „თარიღშია“ დაწერილი, ან რა წერია, გამაგებინეო! ქანონი და რიგია-ყველა სოფელში გასაგზავნი ქაღალდები ქართულ ენაზედ და გარკვევით იყვეს დაწერილი, თუ არა?

ბოილარი

---

**ზემო-იმერეთი.** აპრილის 5-ს, რადგან არც თავი და არც ხელი ნებას არ მაძლევენ, ამისათვის მე არ მოველოდი, თუ ოდესმე თქვენთან რაიმე წერილის მოწერა შემხვდებოდა და მითი თავს შეგაწუხებდი; მაგრამ გაჭირვებამ და ნიადაგ უსიამოვნების ხედვამ მომაკიდებინა ხელი კალმისათვის და, ძალა-უნებურათ, უნდა ვჯღაბნო და მოგახსენო ჩვენი ხალხის მდგომარეობა და ის ამბავიც, რაც მე ამ მოკლე დროში ჩემის თვალით ვნახე.

თქვენს პატივცემულს გაზეთში მე რაოდენიმე გზის წავიკითხე სხვადასხვა-დური ჩვენი მაზრის ბებიაზე, რომ ის ნიადაგ ქუთაისში სცხოვრებს და შორაპანში სტუმრათაც არ მოდისო, იქ, სადაც სამსახურში ითვლება და ჯამაგირს ღებულობსო.

მე მოველოდი, რომ ამ საქმეს მიაქცევდა ყურადღებას ვისიც რიგია; მაგრამ ამ ჩემმა მოლოდინმა ჯერ-ჯერობით უქმად ჩაიარა.

ბებია არის, მაგრამ ბებიის აქ უმყოფელობით, მარტო „ვაი“ გვჭირდა და ეხლა უექიმობით „უიც“ ზედ მოგვემატა.

რადგან ბებია იმ ნაირი განათლებული ქალია, რომ უქვითკიროთ მისი ცხოვრება შეუძლებელია, ამისათვის ჩვენი მაზრის ორსული ქალები კიდევ მხნეთ და მამაცათ არიან; მოზიერების დროს შველიან ერთი მეორეს, ზოგნი ვაებით და ზოგნი უამისოთ შვილებსა შობენ; უბებიობის გამო ჩვენში იშვიათად კვდებიან ორსული მელოგინე ქალები; და ამნაირად ბებია ჩვენის მაზრისა ღრაზოვსკისა კი უბრალოთ და მუქთად ღებულობს ჯამაგირს, ბრძანდება ქალაქში, თბილს ოთახებში და დასეირნობს ფაეტონით მოსე მოყრილ ქუჩებში, რადგან ესენი უფრო სასიამოვნოა, ვინემ შორაპანში ჭუჭყიანი გლეხების მზერა და ტალახში სიარული.

ამას თუნდა თავი დავანებოთ; მაგრამ ეს უექიმობა რაღა ჩვენი უბედურობაა! ექიმი კი გვყავს ვითამ, მაგრამ რადგან შორაპანში მისი შესაფერი სახლები არ არის, ამისათვის ბინა და ცხოვრება ქუთაისში აქვს.

როცა მმართებლობისაგან მიუვა მიწერილობა მკვდრის გაჭრის ანუ დაჭრილის შემოწმების თაობაზე, რომლისთვისაც თვითოეულს ვერსზე ექვსი ცხენის ქირა ეძლევა, მაშინ კი ჩქარა მოირბენს შორაპანში, თორემ, უამისოთ, ძვირათ ნახავს კაცი სოფელში გავლილს.

ერთი ფელდშერი გვყავს, ღმერთმა უშველოს ვინც კი იპოვის თავის ბინაზე, რაც შეუძლიან შველის ავათმყოფს; კიდევ დიდი ღვთის მოწყალება არის, რომ მუცელში შეკრულობით მაინც არავის მოჰკლავს, მაგრამ არც იმას სცალიან ჩვენთვის, ისიც ექიმის თავს-დგომას და მის სამსახურს უნდება.

თვით თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, უ. რედაქტორო, რომ სოფლის ხალხს, რადგან ყოველთვის სოფლის უბრალო ექიმებთან აქვსთ საქმე, ამისათვის მათზე უმეტესი დარწმუნება აქვსთ, ვინემ ნასწავლ ექიმზე. ჩვენში, არა თუ მარტო გლეხები, აზნაურებიც ბევრია იმისთანა, რომელთაც ჰგონიათ-ექიმი მმართებლობისაგან არის განწესებული მარტო კვდრების გაჭრისათვისაო, რადგან ისინი ამისათვის უფრო ხშირათ შეხვდებიან ექიმებს სოფლებში, თორემ, თუ ეს ექიმი ცოცხლისათვისაც საჭიროა და ავათმყოფსაც მოარჩენს, ეს კიდეც არ იცის; ამისათვის ძნელად ენდობიან მათს წამალს და ისინი ყოველს საჭიროების დროს სოფლის უბრალო ექიმებს მიმართავენ.

ამ ერთი კვირის წინეთ, მე ჩემის თვალით ვნახე ერთი ყმაწვილი კაცი, გაცივებულობით ავათმყოფი; გავგზავნეთ ექიმთან კაცი, მაგრამ, სამწუხაროთ, ისიც და მისი ფელდშერიც ქუთაის ბრძანდებოდნენ. შემდგომ ამისა ექიმობის ალაგი დაიკავეს ქალებმა, ავათმყოფს შემოუ ხონჩენ გარ, მათის იმედებით და ეუბნებოდნენ—„ნუ გეშინიანო, „დიდი ხელმწიფე ბატონები“ დაბრძანდებიანო, მეც ვიყავი ეხლა ძლიერ ავათო და ესა და ეს ქალი კიდევ უმეტესათო, მაგრამ ქე მოვრჩითო, შენც ისე მოგარჩენს „დიდი ხელმწიფე ბატონები“ და მათ მოეხმარება შენი სალოცავი ძალ-დიდებული და სახელგათქმული მთავარ მოწამე წმინდა გიორგიო!“ შელებეს წითელი კვერცხები, დააცხვეს პურის კოკრები, დააწყვეს ხონჩაზე, როგორც ესენი, აგრეთვე სხვა და სხვა ფერი ფერადების ნაჭრები, დაუდგეს თვით ავათმყოფს და დიდის ბოდიშით მიართვეს „ბატონებს“.

დაიჩოქეს და სთხოვეს: „სახელგანთქმულო, დიდო ხელმწიფე ბატონებო, შვილებიანო, ძირებიანო! ეს არის მშვენიერი ხონჩა, მოგვირთმევია და გთხოვთ: გვაჩუქეთ ეს ჩვენი ავათმყოფი, ნიადაგ ვართ თქვენი სახელის მაქებარი და აწიც ვიქნებით“ და სხვა.

შემდეგ ერთმა მოჰკიდა ხელი ხონჩურს და სხვებმა ზედ დაამღერეს ნანინა:

ბატონებო ღვთიანებო,
კარგო სამართლიანებო,
ნანას ვეწყებთ მოგახსენებთ, იავ-ნანინაო!
თქვენსა გზასა მოგფენთ ვარდსა, იავ-ნანინაო.
აქ ჩვენს ავათმყოფს უბოძეთ
ოქრო, სიცოცხლე და ლხინება, ვარდო ნანინაო!

და სხვაც მრავალი ამნაირი იმედი, ბოდიში და მოლხენა ქალების იყო ამ ავათმყოფის ოთახში ექვსი დღე და ღამე; ბევრი ევედრნენ „ბატონებო“, მაგრამ ისე ღმერთმა თქვენს მტერს და დამაწყევარს მოუხდინოს წირვა-ლოცვა, უფალო რედაქტორო, როგორც ამ საწყალს ჩვენს ავათმყოფს ამ ქალების ხონჩა, ბოდიში და მოლხენა მოუხდა. იმას თურმე ანთება ჰქონებოდა, აუვარდა თავში, როგორც ხმელ შეშას ცეცხლი, ისე გარს შემოედვა და ამ საბრალო უექიმო და უსაშუალო 20 წლის ვაჟმა, ამ ქალების ნანინის გალობაში, სული განუტევა.

გთხოვთ, უფალო რედაქტორო, თუ შეიძლებოდეს, ამ წერილსაც უბოძოთ ალაგი თქვენს გაზეთში და ორიოდე სიტყვა თქვენც დაახმაროთ ამ ჩვენს საწყალ მდგომარეობას.

დაბას შვირილაში, თუ უკეთესი არა უ.უ. ბებიაზე და ექიმზე, მათი ტოლები მაინც რაოდენიმე სცხოვრებენ და ემსახურებიან თავიანთ ვალდებულებას; ამისათვის მათაც ინებონ ადგილობრივ სამსახურის ალაგას დაბინავება და, საჭიროების დროს, მოეხმარონ გაჭირებულ ხალხს.

შორაპნელი

---

# უცხო ქვეყნები

---

## ომის ამბავი

— ერთს ფრანციზულს გაზეთში („საფრანგეთი“), არის ვენიდამ მიწერილი შემდეგი ტელეგრამმა: 6 (26 მარტ) აპრილს მეჩითიდამ დაბრუნებულმა სულთანმა უთხრა სავფეტ-ფაშას, რომ ის ვარა ჰყოფს ლონდონის პროტოკოლის მიღებაზე, რომ ყაბულ არის მდივანის გარდაწყვეტილებაზე, ჯარის დაუთხოვნელობის შესახებ და აგრეთვე იმაზედაც, რომ გაგზავნოს პეტერბურღში მხოლოდ ჩვეულებრივი ელჩი, რომელსაც არაფერი განსაკუთრებითი მინდობილება არ ექნება ოსმალოს მართებლობისაგან, და ამასაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქს, თუ რუსეთის ელჩი ისევ დაბრუნდება სტამბოლში.

— ამავე გაზეთში იწერებიან სტამბოლიდამ, რომ უმთავრესს ვეზირს, მდივანის ძალდატანებით, ყველა პროვინციების გენერალ გუბერნატორებისათვის მიუწერია ცირკულიარი, რომ ამ მოკლე ხანში ომი მოსალოდნელია და, რაც შეიძლება, დააჩქარონ სამხედრო მზადება და ახალი ჯარების მოწვევა.

— რუსული გაზეთის, „ხმის“, სტამბოლელი კორრესპონდენტი აი რა სიტყვებით აწერს ლონდონის პროტოკოლზე ხელის მოწერის წინეთ პორტის მდგომარეობას: ლონდონიდამ მოსული ტელეგრამმა მუსურუს-ფაშისაგან შესახებ იმისა, რომ ლორდ-დერბი დარწმუნებულიაო, რომ უომოთ საქმე არ გათავდებაო, იყო მიზეზი იმისა, რომ ოსმალოს მმართებლობამ მკაცრი განკარგულება მოახდინა—რაც შეიძლება მალე შეიარაღონ ჩერქეზები, მოიწვიონ რედიფების მეოთხე რიგი, ფლოტები გაგზავნონ შავს ზღვაზე, რომ სარდლებმა, რაც შეიძლება, მალე დაირიგდნენ თავიანთს ადგილზე და სხვ. ოსმალოს მინისტრებმა რამდენჯერმე გაგზავნეს კაცი ინგლისის მმართებლობისაგან სტამბოლში მყოფს წარმომადგენელთან, უ. ლეიარდთან, რომ მოელაპარაკნათ მასთან, მაგრამ ვერაოდეს ვერ შეხვდენ სახლში. მეორეს დღეს, როგორც იქნა სავფეტ-ფაშამ ნახა უფ. ლეიარდი, რომელმანც გამოუცხადა, რომ მას თავის მმართებლობისაგან არაფელი გარდაწყვეტილი ამბავი არ მოსვლია შესახებ იმისა იქნება ომი, თუ არა, და ურჩევს მათ, რომ ნუ სწუხან. სავფეტ-ფაშა მოუყვება ლეიარდს—თუ ოსმალოს მმართებლობამ ამ ცოტა ხანში რა გვარი განკარგულება მოახდინა. „რა ამბავია? რამ გაიძულათ, რომ ასე აჩქარებულხართ? ვნახეთ მე, თუ მაინცა და მაინც, და გეკითხათ—თუ როგორ მოქცეულიყავით“—შესძახა, თურმე, ლეიარდმა თავის მესაუბრეს. „სახლში ვერ შეგისწრეთ და თან გვეშინოდა, რომ არ დაგვგვიანებოდა.“—„მაშ, რაც განკარგულება მოგიხდენიათ, იყოს; შეიძლება გამოგადგესთ, მხოლოდ გთხოვთ—ჰობარტ-ფაშა დააბრუნოთ იმედია ისე შორს არ იქნება შესული შავს ზღვაში.—დააბრუნეთ და უთხარით, რომ ბასფორის შესავალთან ჩააგდოს ღუზა.“ მაშინვე გაგზავნეს ჰობარტ-ფაშის დასაბრუნებლათ და, წარმოიდგინეთ მათი განკარგულება, როდესაც გაგზავნილმა კაცმა ამბავი მოუტანათ, რომ ჰობარტ-ფაშას ჯერ ფეხიც არ მოუცვლია ნავსადგურიდამ.“

## გერმანია

თ. ბისმარკის სამსახურიდამ გამოსვლაზე ბევრი მიზეზები მოჰყავთ სამზღვარ გარეთელ გაზეთებს. აი, სხვათა შორის, ერთი ამ მიზეზებთაგანი, რუსული გაზ. „ხმის“ პარიჟელი კორრესპონდენტის სიტყვებით: როდესაც ლონდონის პროტოკოლი ხელ მოწერილი იყო უმთავრესი სახელმწიფოების უმეტესი ნაწილი წარმომადგენლებისაგან, თავ. ბისმარკმა, ამის შეტყობის შემდეგ, ალტაცებით წარმოსთქვა, რომ რუსეთსა და ოსმალოს შუა უომოთ ამ ქამითი ათანხმოების გათავება შეუძლებელი შეიქნაო. მან, თავის მხრით ყოველი გვარი საშუალება იხმარა, რომ ეს ხსენებული პროტოკოლი ოსმალოს მართებლობას არ მიეღო. ვითომც ბისმარკისავე მეცადინეობით, არც გერმანიის წარმომადგენელი და არც იტალიისა არ ჰყოფილან იმ დროს, როდესაც ეს პროტოკოლი პორტას წარუდგინეს—იმ საბუთით, რომ, ვითომც, იმათი მართებლობისაგან მათ არ მისვლიათ, ამ საქმის შესახებ, ინსტრუკციები. რუსეთის ომი ოსმალეთთან ხელებს უხსნიდა თ. ბისმარკს და, როგორც ამბობენ, ის იმპერატ. ვილჰელმთან საიდუმლო აუდიენციას თხოულობდაო იმისთვის, რომ მოლაპარაკებოდა მას გერმანიის ჯარების დამზადებაზე, იმ შემთხვევისათვის, თუ კი რუსეთის ჯარები მდ. პრუტას გადვიდოდა.—„ვის წინააღმდეგ ან რისთვის უნდა დამზადებულიყო გერმანიის ჯარები, საიდუმლოდ რჩება, თუმც ამის გამოცნობა ისე ძნელი არ არის“—ამბობს კორრესპონდენტი.—იმპერატორ ვილჰელმს წინააღმდეგობა განუცხადებია ბისმარკისათვის,—გვეყო რაც შევმატეთ ჩვენ სახელმწიფოს, რაც დავიპყარით; ახალი რომელიმე მხარის დაპყრობა ჩვენთვის სრულებით არაფერს გვარს საჭიროებას არ შეადგენს აი, ამისთანა

ვარის შემდეგ, ეითომც თავ ბისმარკს სამსახურიდამ დათხოვნის თხოვნა შეუტანია იმ დღესვე.

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი

ს ტ ა მ ბ ო ლ ი, 3 (14) აპრილს. დიდი მზადებაა აქ საომრად. დუნაიზე ახალი ჯარები იგზავნება. შავს და ხმელეთ-შუა ზღვაზე სამხედრო ხომალდები გაგზავნეს.

— სულთანს ომიანობის დაწყება ჰსურს.

— ამბობენ, რომ, თუ რუსეთმა გამოუცხადა ომი ოსმალეთს, სპარსეთიც რუსეთის მხარეს დაიჭერსო.

—ინგლისისაგან შეშინებული საბერძნეთი ომში არ გაერევა; მაგრამ ეცდება კია, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომ ბერძნებს, რათაც შეიძლებს, დაეხმაროს, თუ ისინი აღსდგებიან.

ბ ე ლ გ რ ა დ ი, 4 აპრილს. აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ, თუ ომი ატყდა სერბია ისევ ბრძოლას დაიწყებს ოსმალეთთან.

ს ტ ა მ ბ ო ლ ი, 5 აპრილს. აქაურუსეთის საელჩოში ტელეგრამმა მოსული პეტერბურგიდამ, რომ, სანამ ცალკე ბრძანება არ მოგივიდესთ, მანამ ნუ გამოხვალთ სტამბოლიდამაო.

—ჩერნოგორიის წარმომადგენელნი, რომელნიც მორიგების თაობაზე მოსალაპარაკებლად იყვნენ გამოგზავნილნი, წავიდნენ აქედამ, საქმის გაურიგებელად.

ლ ო ნ დ ო ნ ი, 6 აპრილს. ინგლისური გაზეთი „Daily News“ ამბობს, რომ, თუ ომი ატყდა, ინგლისს განზრახვა აქვსო, რომ სტამბოლი დაიჭიროს თავის ჯარებითაო.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

I

ბატონო რედაქტორო!

ქრისტე აღდგა, შენი ჭირიმე! ზევრ ამისთანა ქრისტეს აღდგომას დაგასწროს უფალმა და შენი წყალობაც ნუ მოგვიშალოს.

დიდი ხანია, შენს ჭირიმე, შენთვის აღარა მომიხსენებიარა ჩვენი დარდი და ვარამი. ამისი მიზეზი ის გახლდა, რომ გაზაფხულის მუშაობამ აღარ მომაცალა და მეორეც ისა, რომ, როგორც მოგეხსენება, ყველა ჩემისთანა ბედხეირი — გულსწრაფია და მოუთმენელი. ამბობენ ნასწავლი და დიდი კაცები მომთმინო და სულგრძელები არიანო. ნეტა რათ უნდა იყოს ასე, რომ სხვა და სხვა ხასიათისა ვყოფილვართ? ჩემი უხეირო ჭკუით რომ ვფიქრობ სწორედ მშიერ-მაძღარის საქმეს უნდა ჰგვანდეს. რაღა თქმა უნდა, რომ მშიერი გულსწრაფი იქნება და მაძღარს კი რა ეწრაფება?—რამდენსაც უნდა მოითმენს. ასე თუა, შენი ჭირიმე, არა?

ამას იმაზედ მოგახსენებ, რომ გულსწაფობამ ცოტა გულიც წამიხდინა და შენთან ჩივილის ხალისიც დამიკარგა. ჩემისთანა კაცი რომ თავის ბედს შესტირის ვისმეს, იმიტომ რომ ეგების წამალი რამე დაედოს იმას სენსა; და თუ ნახა, რომ იმის ჩივილმა ფუჭად ჩაიარა, მაშინ თავის დარდის თქმაც აღარ ეხალისება და კისერ-წაზნექილი უყურებს თავის ბედს.

მაგრამ ასეც რომ არ ივარგებს. ჭირი რომ გაუმჟღავნებლად არავის მოჰმორებია. ბავშვს მანამ ძუძუს არ ჩაუდებს დედა, რომ ვერ ჩუმდება. ალბათ ღვთის-განგება ასეა. მეც ამიტომ კიდევ მოვკიდე ხელი ჩემ ბატის-ფრთას და მინდა ამ წყალ-წყალა მელნით ერთი გული ვიჯერო შენთან ლაპარაკით. შენ რომ გეტყვი ჩვენ დარდს, ასე მგონია ეს არის საქმე გაგვირიგდება მეთქი.

ეხლა, ჩემო ბატონო, ერთი დიდი რამ საქმე უნდა მოგახსენო,— ჩვენთვის კი დიდი რამ არის და შენ იქნება ჩალადაც არ ჩააგდო. ის უნდა მოგახსენო, რომ ჩვენი ივრის ხეობა ძალიან დაშორებულია სასამართლოს, მირონის სუდს რომ ეძახიან, —და ძალიან გვიჭირებს საქმეს.

ჩვენ ხეობაზედ, რაც თბილისის მაზრას ეკუთვნის, ოცი სოფელი არის. ამ სოფლებში, ჩემი ვარაუდით, სულ სამი-ათას კომლზედ მეტი უნდა იყოს მცხოვრები და სულობით რომ ჩავაგდოთ—ჩვიდმეტი ათას სულამდის იქნება. ამ მოსახლეობიდგან ოთხასიოდე კომლის უფრო ახლოს არის თფილისზედ, ასე, ოცდა-ათ-თხუთმეტ ვერსზედ, და დანარჩენი ორიათას ექვსას კომლამდის კი—ორმოც, ორმოც-და-ათ და სამოც ვერსტამდის იქნება დაშორებული ქალაქზედ. აბა, შენი ჭირიმე, ჯერ ოც-და-ათი ვერსტი რა არის გლეხი კაცისთვის, რომ ორმოც-და-ათი და სამოცი რა იყოს.

გლეხი კაცი, ხომ მოგეხსენება, მუშად არის გაჩენილი. ერთი საათის ცუდად ყოფნაც დიდ ზარალს აძლევს იმას, არა თუ ორი და სამი დღის ცუდაობა. ისიც ხომ იცი, ბატონო, რა არის გლეხი კაცისთვის მუშაობის დროებში მოცდენა და თუ მარტო ხელიც არის, მაშინ ხომ დალუპვაა და დალუპვა.

მირონი სუდის სიშორისაგან კი ძალიან ბევრი ცუდ-უბრალო მოცდენა მოგვდის. დაგვიბარებენ სუდში. ორ დღეს წასვლა-მოსვლას უნდებით და ერთ-ორსაც სუდში ყოფნას. ნეტა, შენი სიცოცხლით, ამით მაინც გათავდეს ხოლმე საქმე. შენც არ მამიკვდე! ან მოჩივარი არ მოვა, ან მოპასუხე, ან რომელიმე მოწამე,—რა არის პავოსკა არ ჩაუბარებიაო ჩაფარს, და მაშინ სუდია გვიბრძანებს ესა და ეს რადგან არ მოვიდაო, თქვენ საქმეს ვერ გავარჩევო, წადით და მერე დაგიბარებთო. მოგვწყდება ხოლმე წელი, მაგრამ ვინ რას დასდევს? თითონ შენ იფიქრე, ბატონო! ზოგს შებმული გუთნისთვის დაგვინებებია თავი, ზოგს მოჭრილი ყანა დაგვიგდია მინდორში ქარ-წვიმის ანაბარა, ზოგს ვენახის ბარვა ან ვაზების სხვლა გაგვიგდია ხელიდგან და ზოგს კიდევ ვინ იცის რა აუცილებელი საქმე გაგვიშვია საძაღლ-ღოროდ და მივეშურებით სუდში:—გვგონია სამართალს მივიღებთ და მოვისვენებთო. სამოთხ დღეს ვკარგავთ ცხენ-კაციანათ და საქმეც არ გვითავდება. იქვე იმ საქმეზედ მეორეთა და ბევრჯელ მესამეთაც ისევ ის დრო დაკარგვა, ხარჯი და ტანტალი მოგვდის. ზოგჯერ კიდეც დავაპირებთ ხოლმე წამოუსვლელობას, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ის წასვლა ხშირად ფუჭად ჩაგვივლის ხოლმე. მაგრამ მტრის გულისად გახდომა გვენაჯიშება და ის რაღაც სწრაფი როა იმისიც გვეშინიან. ამიტომაც ვქსელავთ ტყუილ-უბრალოდ ორმოცსამოც ვერსტს, თითქოს ჩვენ საქმეს შინ სხვა აკეთებდეს.

ისეთ მაგალითებს მოგახსენებდი, რომ გაგიკვირდებოდა, მაგრამ, მეშინიან თავი არ შეგაწყინო. ერთს მაინც მოგახსენებ. ერთი ჩემი მეზობელი, ზარეჯელი გახლავს, სამი წელიწადი ატარეს სუდში და სამ წელიწადში მგონია თორმეტჯერ მაინც დაიბარეს და ბოლოს, როგორც იყო, გადაუწყვიტეს საქმე, და რომ იანგარიშა — ამონაგებზედ სამჯერ მეტი ხარჯი მოსვლოდა. ასი და ორასია ამისთანა. ათში ერთი-ორი თუ გადასწყდება ერთხელ დაბარებით, დანარჩენი ორჯელ, სამჯერ და ხუთჯერ დაბარებით ძლივსა სწყდება.

სიშორე ხომ აჭირებს საქმეს, მაგრამ ამაზედ ნაკლები გაჭირება არც ეს იორი არის. როგორც მოგეხსენება, ამ წყალმა ძალიან ადიდება იცის. ბევრჯელ ისე აღელდება ხოლმე, რომ შიგ გასვლა შეუძლებელია. ბევრჯელ მოხდება ხოლმე, რომ სუდში დაბარებული გამოსვლა ნაპირზედ უცდის დაწყნარებას,—სწორედ იმ დროსა, როდესაც იმის საქმეს ქალაქში არჩევენ, რაღა თქმა უნდა, იმის მოჩივრის გასახარელად. მეტი რა ღონე აქვს? მე შენ მოგახსენო ინგლიჩნურ რკინის ხიდზედ გაივლის.

ერთის სიტყვით, ბატონო, სუდის ასეთი სიშორე დიდ ზიანს აძლევს ჩვენ ხეობას. რაც ამ სიშორისაგან ცუდ უბრალო ხარჯი მოსდისთ, ფულად რო ვიანგარიშოთ და ყველაფერიც რომ დავაფასოთ, როგორც რიგია, და ზედი-ზედ რო ჩავაგდოთ, წელიწადში ყველა კომლზედ, სულ ნაკლები, ხუთი მანეთი მაინც შეჰხვდებათ. ეს ტყუილი ხარჯი გლეხი კაცისთვის მთელი საცხოვრებელია, რაღა! აბა, მთელი კომლეულობისა ერთად შეჰკეცე რა ლაზათიანი ჯამი შესდგება. ამაზედ უკეთესი მოხმარება არ შეიძლებოდა ამ ფულისა? მაგრამ,... მახლას, შენი ჭირიმე, სხვა ტყუილი ხარჯთან ალბად ესეც საჭიროა ჩვენთვის.

ახლა, რომ ჩვენმა ბედმა იმუშაოს და ამ ჩვენ გაჭირებას წამალი დაედოს რამე და ამ ხეობის შუა ალაგას დაგვიყენონ სუდი, ბოლოსოფლებისთვის თხუთმეტ-ოც ვერსტზედ იქნება მოშორებით. ღვთის წყალობა შენა გაქვს, რომ აღარც პავოსკების დარიგება გაჭირდება და აღარც ივრის ადიდებას-ღა ინაღვლებს ვინმე, (მარტო სამას კომლამდის დარჩება წყალ-გაღმა). მაშინ მინდვრიდამაც ჰმოვა დაბარებული და საქმის გათავებისას ისევ იქვე შეუძლიან წასვლა. ასე, რომ საქმის შეწყვეტაც აღარ მოუხდება. აღარც რამდენჯერმე დაბარება მოუნდება სუდს ერთსა და იმავე საქმეზედ, აღარც ვინმე სიშორის მორიდებით თავის საჩივარს ღვთის-ანაბარა გაუშვებს და ტყუილ-უბრალოდ პასუხის გებაში არ ჩავარდება. ასე რომ იყოს, საქმეც ნაკლები იქნება სუდს და სამართალიც სწრაფი და ჩვენც ტყუილ-უბრალო მოცდენა ტანტალი და ხარჯი მოგვშორდება თავიდგან და ამით ორიოდე მანეთს შევიმატებთ ღვთისა და ხელმწიფის სამსახურისთვის.

ასე, ჩემო ბატონო, ღმერთმა შენი წყალობა ნუ მოგვიშალოს.

ბწერ ივრელი გლეხი ნინია

მარტის კ., ჩყოზ წელსა.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აკ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 8 | 40 | | | | | | |
| აკ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ — ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ — ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.

სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ. ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ: ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

### ბირჟა

| პეტერბურგი, 3 აპრილს | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 290 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7^1/_2$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 96 | 50 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 196 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 192 | 25 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | -- | |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 84 | 32 |
| მოსკოვის (5%) | 81 | 50 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 157 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | -- | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 497 | — |
| კავკაზის და მერკურის | 206 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 727 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 269 | — |

### მაზანდა

| თფილისი, 9 აპრილს | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური შოთაგალის ფთ. | 1 | 40 |
| ქერი ფუთი | — | 87 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 5 | 60 |
| —ამერიკისა, ფუთი | 6 | 20 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 70 |
| —თარაქამისა ფთ. | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 11 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 65 |
| —ცხვრისა, ლიტრა | — | 72 |
| სპირტი, ვედრო | 8 | — |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 8 | 50 |
| — ფხვნილი ფუთი | 5 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 30 |
| ოქრო 1/2 იმპერიალი | 6 | 63 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Апрѣля 1877 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.